საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-02/03

ქ. ბათუმი 13 იანვარი, 2023 წ.

2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ჩათვლით სწავლის საფასურის დავალიანების მქონე სტუდენტთა მიმართ სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოსაცემად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

,,ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის (სწავლის საფასურის დავალიანების) გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოსაცემად 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ'' **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 18 იანვრის №01-08/05 ბრძანებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება** 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით (2022 წლის 10 იანვრის მდგომარეობით, სულ 3082 სტუდენტის მიმართ).

ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესში'' (შემდეგში - წესი) **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 28 მარტის №07-01/16 გადაწყვეტილებით შეტანილი დამატების, კერძოდ, მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად:** ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 18 იანვრის N01-08/05 ბრძანებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგების გათვალისწინებით: ,,6.1. დაწყებული ადმინისტრაციული <u>**წარმოება შეიძლება შეწყდეს იმ სტუდენტის მიმართ,**</u> რომლის სწავლის საფასურის დავალიანება (2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ჩათვლით სემესტრებისა) 2022 წლის 24 მარტის მდგომარეობით შეადგენს:

ა) 1125 ლარის ჩათვლით, მის მიერ 2022 წლის 15 აპრილის ჩათვლით წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება/გაფორმდება შეთანხმება სწავლის საფასურის დარჩენილი დავალიანების გადახდის არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისისა გადავადების/განწილვადების თაობაზე;

ბ) 1126 ლარიდან 2250 ლარის ჩათვლით, 2022 წლის 15 აპრილის ჩათვლით დავალიანებას შეამცირებს არანაკლებ 20%-ით, ამასთან, ამავე ვადაში მის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება/გაფორმდება შეთანხმება სწავლის საფასურის დარჩენილი დავალიანების გადახდის არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისისა გადავადების/განწილვადების თაობაზე;
გ) 2251 ლარიდან 3375 ლარის ჩათვლით, 2022 წლის 10 აპრილის ჩათვლით

დავალიანებას შეამცირებს არანაკლებ 15%-ით, ამასთან, ამავე ვადაში მის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება/გაფორმდება შეთანხმება სწავლის საფასურის დარჩენილი დავალიანების გადახდის არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივლისისა გადავადების/განწილვადების თაობაზე; დ) 3375 ლარზე მეტს, 2022 წლის 05 აპრილის ჩათვლით დავალიანებას შეამცირებს არანაკლებ 10%-ით, ამავე ვადაში მის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება/გაფორმდება შეთანხმება სწავლის საფასურის დარჩენილი დავალიანების გადახდის არაუგვიანეს 2022 წლის 30 აგვისტოსა გადავადების/განწილვადების თაობაზე.

,,სწავლის საფასურის გადახდის წესის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ,,7. 2021-2022 სასწავლო წელს სწავლის საფასურის დავალიანების მქონე **დამატებითი სემესტრების ბსუ-ს სტუდენტებთან,** რომლებსაც 2022 წლის 4 აპრილის მდგომარეობით აქვთ აქტიური სტუდენტის სტატუსი (მათ შორის ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 18 იანვრის N01-08/05 ბრძანებაში აღნიშნული სტუდენტები), **გაფორმდეს შეთანხმებები 2022 წლის 30 ივნისამდე სწავლის საფასურის გადახდის გადავადების თაობაზე** (ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილი ფორმის შესაბამისად), წინააღმდეგ შემთხვევაში **შეუწყდეთ სტუდენტის სტატუსი** ამ წესის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.".

ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდის წესის მე-9 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების და ბსუ-ს ფაკულტეტებიდან წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე გამოიცა **ბსუ-ს რექტორის 07.04.2022წლის №01-08/381, 13.04.2022წ. №01-08/394, 28.04.2022წ.№01-08/412 ბრძანებების N1 დანართებში აღნიშნულ** სტუდენტებს, რომლებმაც დადგენილ ვადებში არ შეასრულეს სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული მოთხოვნები, **შეუჩერდათ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი,** 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასურის დარიცხვის გარეშე. ხოლო **ბსუ-ს რექტორის 07.04.2022წ.№01-08/381, 13.04.2022წ.№01-08/394, 28.04.2022წ.№01-08/412 ბრძანებების N2 დანართებში აღნიშნულ** სტუდენტების მიმართ, რომელთაც გააფორმეს შეთანხმებები სწავლის საფასურის დარჩენილი დავალიანებების სხვადასხვა პერიოდში გადახდის გადავადების/განწილვადების თაობაზე, შეწყდა მათ მიმართ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 18 იანვრის N01-08/05 ბრძანებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდის წესის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის **მე-4 ქვეპუნქტის თანახმად:** ,,სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის დარჩენილი დავალიანების გადახდის გადავადების/განწილვადების თაობაზე გაფორმებული შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში **გამოიცეს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება,** კანონმდებლობით დადგენილი წესით.''

აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის უფროსის 2022 წლის 12 იანვრის MES 7 23 0000019773 სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი ინფორმაციისა და **ბსუ-ში** სწავლის საფასურის გადახდის წესის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის მე-4 ქვეპუნქტის

გათვალისწინებით **მიზანშეწონილია ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის მიზნით, ასევე** სწავლის საფასურის გადახდის წესის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად 2021-22 სასწავლო წლისათვის დამატებითი სემესტრის სწავლის საფასურის დავალიანების მქონე სტუდენტების მიმართ **სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ბრძანების გამოცემის მიზნით** (თუკი ჯერ კიდევ აქტიური სტუდენტის სტატუსის აქვთ), **ბსუ-ს სტრუქტურულმა ერთეულებმა განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები.**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ,,ბსუ-ს 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის ცვლილების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 01 ოქტომბრის №01-02/167 ბრძანების, ,,2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 6 სექტემბრის №01-02/149 ბრძანების,** ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის''** (ცვლილებები: ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 28 მარტის №07-01/16 და 2022 წლის 04 აპრილის №07-01/18 გადაწყვეტილებებით), ,,ბსუ-ს სტუდენტებთან სწავლის საფასურის გადახდის გადავადების/განწილვადების შესახებ შეთანხმების ფორმების დამტკიცების შესახებ'' **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 28 მარტის №01-02/73 ბრძანების,** ,,2021-2022 სასწავლო წელს დამატებითი სემესტრის ბსუ-ს სტუდენტებთან სწავლის საფასურის გადახდის გადავადების/განწილვადების შესახებ შეთანხმების ფორმის დამტკიცების შესახებ'' **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 05 აპრილის №01-02/79 ბრძანების,** ,,ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის (სწავლის საფასურის დავალიანების) გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ სამართლებრივი აქტის გამოსაცემად 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ'' **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 18 იანვრის №01-08/05 ბრძანების** (ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 18 თებერვლის №01-08/41 ბრძანებით), ,,ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის (სწავლის საფასურის დავალიანების) გამო 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს სტუდენტთათვის სტატუსის შეჩერების შესახებ'' **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 7 აპრილის N01-08/381 ბრძანების,** ,,ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის (სწავლის საფასურის დავალიანების) გამო 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს

სტუდენტთათვის სტატუსის შეჩერების შესახებ'' **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 13 აპრილის N01-08/394 ბრძანების,** ,,2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ჩათვლით სწავლის საფასურის დავალიანების გამო ბსუ-ს სტუდენტთათვის სტატუსის შეჩერების შესახებ'' **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 28 აპრილის №01-08/412 ბრძანების,** აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის უფროსის 2022 წლის 12 იანვრის MES 7 23 0000019773 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **ბსუ-ში** სწავლის საფასურის გადახდის წესის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის მე-4 ქვეპუნქტის გათვალისწინებით **ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის მიზნით, ასევე** სწავლის საფასურის გადახდის წესის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად 2021-22 სასწავლო წლისათვის დამატებითი სემესტრის სწავლის საფასურის დავალიანების მქონე სტუდენტების მიმართ **სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ბრძანების გამოცემის მიზნით** განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

1.1. ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნული კატეგორიის **სტუდენტების მიმართ, რომელთაც ერიცხებოდათ 2021-22 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ჩათვლით პერიოდის სწავლის საფასურის დავალიანება**, მათი განცხადებების საფუძველზე უნივერსიტეტთან გააფორმეს წერილობითი შეთანხმებები დავალიანების გადახდის გადავადების თაობაზე (2022 წლის 30 ივნისი/30 ივლისი/30 აგვისტო) და მიუხედავად ამისა 2023 წლის 10 იანვრის მდგომარეობით კვლავ ერიცხებათ სწავლის საფასურის დავალიანება, **გამოიცეს სტუდენტის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის ბრძანება არაუგვიანეს 2023 წლის 30 იანვრის ჩათვლით სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, თანახმად** სწავლის საფასურის გადახდის წესის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის და მე-7 პუნქტის მოთხოვნებისა;

1.2. ბსუ-ს ფაკულტეტებმა განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები:

ა) უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების 1.1. პუნქტში აღნიშნული ბრძანებების გამოცემის შესახებ შესაბამის სტუდენტთა ინფორმირება, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის უფროსის 2022 წლის 12 იანვრის MES 7 23 0000019773 სამსახურებრივი ბარათში აღნიშნული სტუდენტების მიხედვით;

ბ) ბრძანების 1.1. პუნქტში აღნიშნული ბრძანებების გამოცემის მიზნით ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტთან კოორდინირებული მუშაობის შედეგად წარმოადგინონ შესაბამისი სამსახურებრივი ბარათები 2023 წლის 1 თებერვალს.

1.3. **ბსუ-ს იურიდიულმა დეპარტამენტმა და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტმა** მოამზადონ ამ ბრძანების 1.1. პუნქტში აღნიშნული ბრძანებების პროექტები, ფაკულტეტების დეკანების მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათების და სწავლის საფასურის გადახდის მონაცემების საფუძველზე

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს პორტალზე და ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ფაკულტეტებს.
4. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
5. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**